საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 9 21 0001442541

31/12/2021

"ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და სააპელაციო (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით) საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 16 დეკემბრის №1380135 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და სააპელაციო (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით) საბჭოების წევრობის კანდიდატთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ'' სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 16 დეკემბრის №1380135 ბრძანებაში და ბრძანების:
ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"2. განცხადებების მიღების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 16 დეკემბრიდან 2022 წლის 10 იანვრის ჩათვლით.".
ბ) დანართი №1, დანართი №2, დანართი №3 და დანართი №4 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართების შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ